ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 3-12/14148699-16 04 06 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (დამხმარე ნაგებობა (საწყობი)) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №241017 03.07.2012წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„ვ-ა" ფასადზე: სარდაფის სართულზე შეცვლილია ფრამუგების ნახატი. +0.00 ნიშნულზე აღნიშნულ მონაკვეთში ამოშენებულია კარი და ბაქანზე მოწყობილია ლითონის მოაჯირი. **„ე-ა" მონაკვეთში ასევე მოწყობილია საყვავილე ლითონის მოაჯირით, რომლის ნაწილიც ცდება წითელ ხაზს.** ფასადზე +0.00 ნიშნულის ქვევით წყალშემკრები მილები მოწყობილია კედლის გარედან და დამატებით მოწყობილია ერთი მათგანი.

„7-1" ფასადზე: სარდაფის სართულზე შეცვლილია ფრამუგების გაბარიტი, რაოდენობა და ნახატი. „4-3" მონაკვეთში მოწყობილია ფრამუგის ღიობი. +0.00 ნიშნულზე „7-4" მონაკვეთში ფანჯრების ნაცვლად მოწყობილია ვიტრაჟები. „3-2" მონაკვეთში შემცირებულია ფანჯრის სიგანე, ხოლო „2-1" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ფანჯარა. „6-5" მონაკვეთში მოწყობილია საჩრდილობელი და კაპიტალური გარე კიბე მოაჯირებით. აღნიშნულ მონაკვეთში შეცვლილია კედლის ფორმა, კედელი მოპირკეთებულია ქვის ფილებით და გაზრდილია პარაპეტის სიმაღლე. „4-2" მონაკვეთში მცირე ზომის კარის ნაცვლად მოწყობილია 2 დიდი ზომის კარი და გაუქმებულია გარე კიბე. გაზრდილია ბაქნის სიგრძე 0.8 მ-ით, ასევე გაზრდილია მისი გადახურვის გაბარიტი და მოწყობილია სვეტი. ფასადზე შეცვლილია პანდუსების და მათი კარების მდებარეობა. დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილი. არ არის მოწყობილი სარეკლამო წარწერა.

„ა-ვ" ფასადზე: შეცვლილია რელიეფის დონე. მოწყობილია 7 ფანჯარა, 1 აირგამწო და წყალშემკრები მილები. „ვ-ვ" ღერძიდან გარეთ ასევე მოწყობილია დაბალი მონოლითური კედელი ლითონის ღობით.

„1-7" ფასადზე: კედელში ფიქსირდება საჰაეროები და ლითონის კუთხოვანის ნაშვერები, ხოლო პარაპეტზე-არმატურის ნაშვერები. სახურავზე მოწყობილია სატელიტური ანტენა.

შენობაში დამატებით მოწყობილია რიგელები. +0.00 ნიშნულზე „4-3"-„ე-დ" მონაკვეთში იატაკში ფიქსირდება ღიობი.

ფასადებზე შეცვლილია ფანჯრების ნახატი. ფანჯრებზე გაკეთებულია ლითონის დეკორატიული ელემენტები. შეცვლილია ლესვა და გაზრდილია პარაპეტის სიმაღლე 0.5 მ-ით.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის

საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „Unique Learning“-ს, მაია გურგენიძეს ქ. თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (დამხმარე ნაგებობა (საწყობი)) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/14148699-16 28.05.2014წ. განცხადება.

უფროსის მოადგილე **ვ. მუჯირიშვილი**